აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №4

21/08/2024 წელი **ქ. ბათუმი**
15⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **- პარმენ ჯალაღონია.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ტარიელ გოგიტიძე - უსკოს მდივანი;
ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;
მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;
თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი;
ზაალ ზაალიშვილი - უსკოს წევრი;
ციალა შავაძე - უსკოს წევრი.

არ ესწრებოდა:
ნოდარ მელაძე - უსკოს თავმჯდომარის მოადგილე.

აგრეთვე ესწრებოდნენ:

სულხან ჩოგაძე - საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ფრიდონ ბათნიძე - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ლევან სამნიძე - საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი;
ნესტან ნაკაშიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. დადგენილება
„მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 31 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

3. დადგენილება
კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესის განსაზღვრის შესახებ;

4. დადგენილება
უმაღლესი საბჭოს 2024 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ;

5. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

6. განკარგულება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 22 მაისის №4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

7. განკარგულება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის 28 დეკემბრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

8. განკარგულება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის 28 დეკემბრის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

9. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ელექტრონული წესით წარმოდგენის შესახებ;

10. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ;

11. განკარგულება
კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ;

12. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ;

13. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. დადგენილება
„მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 31 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

3. დადგენილება
კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესის განსაზღვრის შესახებ;

4. დადგენილება
უმაღლესი საბჭოს 2024 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ;

5. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

6. განკარგულება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 22 მაისის №4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

7. განკარგულება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის 28 დეკემბრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

8. განკარგულება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის 28 დეკემბრის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

9. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ელექტრონული წესით წარმოდგენის შესახებ;

10. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ;

11. განკარგულება

კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ;

12. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ;

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა და გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ ცვლილებებით უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტი შესაბამისობაში მოდის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონთან.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №3 დადგენილებით (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებ-გვერდი www.matsne.gov.ge, 29/08/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016052) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. მე-4 მუხლის:

ა) „დ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილე პარტიებს და მათ წარმომადგენლებს უსკოში, აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;“;

ბ) „ზ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) გამოსცემს განკარგულებას პარტიის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის ან/და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ;“.

2. მე-4 მუხლის „ზ“ პუნქტის შემდგომ დაემატოს ზ[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ[1]) საარჩევნო პერიოდში ბრძანებით განსაზღვრავს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობას;“.

3. მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) რეგისტრაციაში ატარებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის წარმომადგენლებს საოლქო საარჩევნო კომისიებში და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;“.

4. მე-10 მუხლის „რ“ პუნქტი ამოღებული იქნეს.

5. მე-14 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

11. უსკოს სხდომას, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული პირების გარდა, ესწრებიან უსკოს აპარატის საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის და იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსები (უსკოს აპარატის სხვა თანამშრომლები უსკოს სხდომებს ესწრებიან საჭიროებისამებრ), კონკრეტული საკითხის განხილვის დროს მოწვეული დაინტერესებული მხარეები, რომლებიც საკითხის შესახებ უსკოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე ტოვებენ სხდომის დარბაზს;

6. მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის შემდგომ დაემატოს 7[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7[1]. საარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობა არის ამ კანონის შესაბამისად არჩეულ კომისიის წევრთა რაოდენობისა და იმ პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრთა რაოდენობის ჯამი, რომლებსაც საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს შესაბამისად მოპოვებული აქვთ საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის უფლება.“.

7. მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შემდგომ დაემატოს 2[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2[1]. თუ უსკომ თავის სხდომაზე კენჭისყრის შედეგად ვერ მიიღო ის გადაწყვეტილება, რომლის მისაღებად უსკოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი

მესამედის მხარდაჭერაა საჭირო, უსკოს ამ გადაწყვეტილებას იმავე სხდომაზე კენჭი ხელახლა ეყრება. ამ შემთხვევაში უსკოს აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უსკოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილება

„მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 31 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 31 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით დგინდება მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების პროცედურები, რის შემდეგაც მუხლობრივად განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 31 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 31 ივლისის №1 დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდი 04/08/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016056) დამტკიცებულ წესში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1) შესავალი ნაწილის მე-2 აბზაცი ამოღებულ იქნეს;
2) შესავალი ნაწილის მე-3 და მე-4 აბზაცები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მხარდამჭერთა სიები უსკოში წარდგენისთანავე ილუქება პარტიის წარმომადგენლის თანდასწრებით, რაც დასტურდება, როგორც უსკოს შესაბამისი დეპარტამენტის თანამშრომლის, ისე პარტიის წარმომადგენლის მიერ ლუქზე ხელმოწერების დატანებით.

მხარდამჭერთა სიების შემოწმების დროს უსკოს შესაბამისი დეპარტამენტის თანამშრომელი პარტიის წარმომადგენელთან ერთად ამოწმებს ლუქის მთლიანობას და ხსნის ლუქს, რის შემდგომაც, უსკოს შესაბამისი, დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ თანმიმდევრობით მოწმდება მხარდამჭერთა ხელმოწერები შემდეგი წესით:“:

3) 1.6. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.6. ბლანკის მე-5 გრაფაში სრულად უნდა იყოს მითითებული ხელმოწერის თარიღი (მაგ.21.03.2016.), რომელიც უნდა ემთხვეოდეს პარტიის წარმომადგენლის მიერ ბლანკის გატანისა და შემოტანის თარიღებს შორის პერიოდს. ბლანკის გატანის თარიღი დაფიქსირებულია და დამოწმებულია პარტიის წარმომადგენლის ხელმოწერით ნიმუშზე, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება უსკოს შესაბამის დეპარტამენტში.“.

4) 1.8. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.8. უსკოს შესაბამისი დეპარტამენტის თანამშრომელი უფლებამოსილია შერჩევითობის პრინციპით მხარდამჭერთა მონაცემები გადაამოწმოს ამომრჩეველთა ერთიან ბაზაში. (ამომრჩეველთა ერთიან სიაში).“.

5) 1.9. პუნქტი ამოღებულ იქნეს;

6) 1.11. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.11. „ხელმოწერის შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი“, სრულად უნდა იყოს მითითებული: სახელი, გვარი, (ჯერ სახელი და შემდეგ გვარი) საქართველოს მოქალაქის პირადობის 11-ნიშნა ნომერი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ხელმოწერა, ბლანკის შევსების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი მაგ: 25.08.2000), რომელიც უნდა ემთხვეოდეს პარტიის წარმომადგენლის მიერ ბლანკის გატანისა და შემოტანის თარიღებს შორის პერიოდს.“.

7) მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ გაბათილებული ხელმოწერების გათვალისწინებით, მხარდამჭერთა დარჩენილი ხელმოწერების რაოდენობა შეესაბამება დადგენილ ოდენობას, უსკოს შესაბამისი დეპარტამენტი ამზადებს დასკვნას პარტიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობის თაობაზე.

4. თუ გაბათილებული ხელმოწერების გათვალისწინებით, მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობა კანონით დადგენილ ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა, დგება აქტი, პარტიის წარმომადგენელს უბრუნდება მხარდამჭერთა სიის გაბათილებული ნაწილი და მას ხარვეზის შესავსებად 3 (სამი) დღის ვადა ეძლევა. უსკოს შესაბამისი დეპარტამენტის პარტიის წარმომადგენელს ასევე გადასცემს ახალ ბლანკს.

6. თუ შემოწმების შემდეგ, მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობა შეესაბამება დადგენილ ოდენობას, უსკოს შესაბამისი დეპარტამენტის თანამშრომელი ამზადებს დასკვნას პარტიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობის თაობაზე, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში - დასკვნას კანონთან შეუსაბამობის თაობაზე.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილება

კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ

ინფორმაციის წარდგენის წესის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით არჩევნებში მონაწილე პარტიამ პარტიული სია უსკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა და პარტიულ სიას თან უნდა ერთოდეს უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი განაცხადი პარტიული კუთვნილების შესახებ, განაცხადში სხვა რეკვიზიტებთან ერთად მითითებული უნდა იყოს, რომ იგი იმ პარტიის წევრია რომელი პარტიული სიითაცაა წარდგენილი ან არის უპარტიო ან თუ დატოვა პარტია პარტიული სიის/კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარმოდგენამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში ვალდებულია მიუთითოს პარტიიდან გასვლის ზუსტი თარიღი და ამ პარტიის სახელწოდება, ასევე კომისიას დეტალურად გააცნო, კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესის განსაზღვრის შესახებ, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

1. არჩევნებში მონაწილე პარტიამ პარტიული სია უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. პარტიულ სიას თან უნდა ერთოდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი განაცხადი პარტიული კუთვნილების შესახებ. განაცხადში კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან (სახელი, გვარი, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი) და განაცხადის შევსების თარიღთან ერთად მითითებული უნდა იყოს, რომ იგი იმ პარტიის წევრია რომელი პარტიული სიითაცაა წარდგენილი ან არის უპარტიო ან თუ დატოვა პარტია პარტიული სიის/კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარმოდგენამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში ვალდებულია მიუთითოს პარტიიდან გასვლის ზუსტი თარიღი და ამ პარტიის სახელწოდება. თუ კანდიდატი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად რეგისტრირებული სხვა პარტიის წევრია, განაცხადში მიეთითება პარტიის სახელწოდება. განაცხადის ფორმა მტკიცდება უსკოს განკარგულებით.

2. ამ დადგენილებით განსაზღვრული პარტიული კუთვნილების შესახებ განაცხადის წარუდგენლობის ან განაცხადის პარტიულ სიასა და თანდართულ საბუთებში არსებულ მონაცემებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) და მას 3 დღე ეძლევა სიისა და საბუთების სრულყოფისათვის.

3. თუ შესწორებული მონაცემები შეესაბამება საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიულ სიას ან მის იმ ნაწილს, რომელიც შეესაბამება საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (თუ ამ ნაწილში კანდიდატთა რაოდენობა დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები არ არის), ხოლო დანარჩენი კანდიდატების შესახებ იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას მათთვის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). თუ პარტიული სიის იმ ნაწილში, რომელიც შეესაბამება საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები კანდიდატი დარჩა, არც პარტიული სია და არც პარტიის მიერ წარდგენილი კანდიდატები რეგისტრაციაში არ გატარდება და უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზემოაღნიშნულ ვადაში გამოსცემს განკარგულებას მათთვის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა).

მუხლი 2.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი საარჩევნო რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო რეგისტრირებული კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

განკარგულებით თუ აღმოჩნდა, რომ კანდიდატი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად რეგისტრირებული სხვა პარტიის წევრია ან დარღვეულია ამ დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები.

მუხლი 3.

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. დადგენილება

უმაღლესი საბჭოს 2024 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, წარუდგინა და დეტალურად გააცნო უმაღლესი საბჭოს 2024 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მტკიცდება საარჩევნო პერიოდში შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა ხარჯები რომელიც უნდა გადანაწილდეს საარჩევნო პერიოდში საჭიროებისამებრ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, უმაღლესი საბჭოს 2024 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი:

შრომის ანაზღაურება _ 2 227 980 ლარი;

საქონელი და მომსახურება _ 602 000 ლარი;

სულ _ 2 829 980 ლარი.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7

განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია, **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებით დამტკიცებულ №1, დანართის (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის დებულება) მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

6. განკარგულება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 22 მაისის №4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, წარუდგინა და გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების

შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 22 მაისის №4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 22 მაისის №4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 22 მაისის №4 განკარგულების პირველის პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადი, დანართის შესაბამისად.“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალაში შესვლის დღიდან.

(თან ერთვის)

7. განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის 28 დეკემბრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, წარუდგინა და გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის 28 დეკემბრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის 28 დეკემბრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების

შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის 28 დეკემბრის №2 განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიის 2024 წლის ხარჯთაღრიცხვა, დანართის შესაბამისად.“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

(თან ერთვის)

8. განკარგულება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის 28 დეკემბრის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, წარუდგინა და გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის 28 დეკემბრის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულებით დგინდება 2024 წლის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში პარტიების მიერ დანიშნული უსკოს დროებითი წევრების შრომის ანაზღაურება.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის 28 დეკემბრის №3 განკარგულებაში

ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის 28 დეკემბრის №3 განკარგულებას დაემატოს „2^1“ და „4^1“ პუნქტები, და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**2^1**. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიაში საარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული უმაღლესი საარჩევნო კომისიის დროებითი წევრების საშტატო ნუსხა №3 დანართის შესაბამისად.

4^1. განკარგულების „2^1“ პუნქტი ძალადაკარგულად გამოცხადდეს (2024 წლის უმაღლეს საბჭოს არჩევნები) ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე.“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

9. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ელექტრონული წესით წარმოდგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ელექტრონული წესით წარმოდგენის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის არჩევნებისათვის საარჩევნო პროცესში მონაწილე მხარეებს (საარჩევნო პერიოდში) მიეცემათ შესაძლებლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაცია წარმოადგინონ (PDF ფორმატში) ელექტრონული წესით, უსკოს ოფიციალური ელ-ფოსტის მეშვეობით მისამართზე: (info@sec.ge). გარდა რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის მიერ უსკოში წარსადგენი პარტიული სიებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ელექტრონული წესით წარმოდგენის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში ჩართულ მხარეებს (საარჩევნო პერიოდში) მიეცეთ შესაძლებლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაცია წარადგინონ (PDF ფორმატში) ელექტრონული წესით, უსკოს ოფიციალური ელ-ფოსტის მეშვეობით მისამართზე: (info@sec.ge). გარდა პარტიის მიერ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით წარსადგენი განცხადება და მასთან თანდართული მასალებისა, რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის მიერ უსკოში წარსადგენი პარტიული სიებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა.

2. საარჩევნო დოკუმენტაციის ელექტრონული წესით წარმოდგენა განხორციელდეს ყოველდღიურად 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. დოკუმენტაცია, რომელიც ელექტრონულად წარმოდგენილი იქნება 18:00 საათის შემდეგ, წარმოდგენილად ჩაითვლება მომდევნო დღის 10:00 საათიდან.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს დედნიდან ელექტრონულ ფორმატში (სკანირება) გადაყვანილი, თუ ვერ ხდება წარმოდგენილი დოკუმენტის იდენტიფიცირება უსკოს შესაბამისი სამსახური უფლებამოსილია არ დაარეგისტრიროს ეს დოკუმენტი და წარმომდგენს მოსთხოვოს აღნიშნული დოკუმენტის მატერიალურად წარმოდგენა.

4. ელექტრონულად შემოსული საარჩევნო დოკუმენტაცია ამოიბეჭდოს და მისი რეგისტრაცია განხორციელდეს უსკოს საქმისწარმოების ელ-სისტემაში (eDocument-ის პროგრამაში). შემოსულ დოკუმენტს მის დამუშავებამდე ფურცლის მარჯვენა ქვედა კუთხეში დაესმება უსკოს შტამპი რომელშიც აღინიშნება სისტემის მიერ მინიჭებული ნომერი, რიცხვი, თვე და წელი.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

10. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, წარუდგინა და გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის შემდეგი საარჩევნო საბუთების სახეები თანდართული ნიმუშების შესაბამისად:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პარტიის რეგისტრაციის მხარდამჭერთა სიის ბლანკი;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პარტიის წარმომადგენლის მოწმობა.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 10 ივლისის №5 განკარგულება და „აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 01 სექტემბრის №16 განკარგულება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

(თან ერთვის)

11. განკარგულება

კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, წარუდგინა და გააცნო კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცების განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ო” ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესის განსაზღვრის შესახებ” უმაღლესი საარჩევნო

კომისიის 2024 წლის 21 აგვისტოს №3 დადგენილების საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ განაცხადის ფორმა დანართის შესაბამისად.

2. დაევალოთ:

1. საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილებას (გ. რიჟვაძე) ამ განკარგულების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტებისთვის გაცნობა;
2. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას (ნ. ნაკაშიძე) ამ განკარგულების უსკოს ვებგვერდზე გამოქვეყნება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს „კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესის განსაზღვრის შესახებ" უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 21 აგვისტოს №3 დადგენილების გამოქვეყნებისთანავე.

(თან ერთვის)

12. **განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, წარუდგინა და გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის შემდეგი საარჩევნო საბუთების სახეები თანდართული ნიმუშების შესაბამისად:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის წარსადგენი პარტიული სიის სახე;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის სააღრიცხვო ბარათის სახე;

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **ტარიელ გოგიტიძე**